თანამედროვე რაკურსი: ქალი-შემოქმედი (ანუ - პენელოპე, ნუ არღვევ, მოქსოვე!)

რუსუდან მირცხულავა

საკვანძო სიტყვები: *ქალი, ხელოვნება, მხატვრული შემოქმედება, ფსიქოლოგია*

ხელოვნებისადმი ქალის სამგვაროვანი მიმართების მიხედვით, ქალი, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნების ინსპირატორია ან მუზა. იმავდროულად, ქალი ხელოვნების დომინანტური მოდელია და, ბოლოს, ქალი თავადაა ხელოვნების შემოქმედი. თუკი ხელოვნებისადმი ქალის მიმართების პირველი ორი ტიპი კამათს არ იწვევს, მესამე - ზოგჯერ დღესაც კი საკამათოდ რჩება. კამათის მთავარი მიზეზი ის გაკრისტალებული სტერეოტიპია, რომლის მიხედვითაც ქალი - „პენელოპეა" - ანუ მომლოდინე, პასიური არსება, ერთგვარი უნივერსალური რეციპიენტი („მიმღები"), ხოლო მამაკაცი - „ოდისევსი" - აქტიური, ქმედითი, უნივერსალური ინდუქტორი („გამცემი"), თავგადასავალთა მაძიებელი, კრეატიული სუბიექტი. აქვე დავძენ, რომ ამ ფრიად გავრცელებული ლოგიკით, მოქმედი ან შემოქმედი მხოლოდ მამაკაცს შეიძლება ეწოდოს. იდეალურ მამაკაცს, ოდისევსს ბერძნები „პლანეტას" ან მოხეტიალეს უწოდებდნენ, სწორედ მისი ზე-აქტიურობის გამო. პენელოპეს აქტიურობა კი მხოლოდ მოჩვენებითია; ოდისევსის მოლოდინში ის მამამთილის სუდარას ქსოვს 20 წელი; არღვევს და ისევ ქსოვს თავიდან, რათა ხელის მთხოვნელთა არმია შეცდომაში შეიყვანოს. რეალურად, იდეალური ქალი პენელოპე არაფერს აკეთებს ლოდინის გარდა, ის არაფერს ქმნის, უფრო მეტიც, ანადგურებს საკუთარ ნაღვაწს, ანტი-კრეატიულია და სრულიად პასიური, განსხვავებით ოდისევსისგან - 10 წელი ტროასთან რომ იბრძვის (რომელიც საბოლოოდ აქაველებმა სწორედ მისი ინტელექტისა და კრეატიულობის წყალობით აიღეს) და კიდევ 10 წელი რომ, როგორც დიდი მოგზაური და დიდი საყვარელი, კუნძულიდან კუნძულზე ინაცვლებს შინისკენ მიმავალ გზაზე.[1]

სუპრემასიზმი (უპირატესობის იდეოლოგია) და ანდროცენტრიზმი უძველეს მითოლოგიურ წარმოდგენებზე დაფუძნებული, არაცნობიერი მასობრივი იდეოლოგიის კომპონენტი როდია მხოლოდ. ჯერ კიდევ არისტოტელე წერდა „პოლიტიკაში", რომ ქალი - მდაბალი არსებაა, მამაკაცთან შედარებით; ქალი - მატერიაა, ხოლო მამაკაცი კი - გონი.[2] მეოცე საუკუნეში, ახალი იდეოლოგიისა და ადამიანის თავისუფლების იდეის ერთ-ერთი შემოქმედი, ზ. ფროიდი პირად მიმოწერაში დაუფარავად ამხელს საკუთარ დამოკიდებულებას ქალის მიმართ - „ქალები საშინაო,სახლის სამუშაოსთვის შეიქმნენ"-ვკითხულობთ მის წერილში, რომლის ადრესატი მისივე სტუდენტი კარლ აბრაჰამია.

ზიგმუნდ ფროიდის ტექსტებში ქალი აღიწერება, როგორც არასრულფასოვანი ან კასტრირებული მამაკაცი, მარადიული ბავშვი, ორგანოდაკარგული მამრი. „პენისისადმი შური" ქალურობას პასიურობასთან, დაქვემდებარებასა და მაზოხიზმთან აკავშირებს. მაგრამ, იმავდროულად, ზიგმუნდ ფროიდი მიუთითებს, რომ ქალი პენისის არარსებობას და „პენისისადმი შურს" ინტელექტუალური განვითარებისა და თვითსრულყოფის გზით აკომპენსირებს. ამ ლოგიკით, მამაკაცს არც სჭირდება ასეთი კომპენსაცია ანუ განვითარება და წინსვლა, რადგანაც იმთა-

1 იხ.: ტონია, კიკნაძე, მითოლოგიური ენციკლოპედია, 2019.
2 არისტოტელე, პოეტიკა, 2019.

ვითვე დარწმუნებულია საკუთარ უპირატესობაში ქალის მიმართ. როგორც ნეოფროიდიანელი ა. ადლერი, არასრულფასოვნებისა და ჰიპერკომპენსაციის თეორიის ავტორი, მიუთითებს, ჰიპერკომპენსაცია ფსიქიკური თუ ფიზიკური არასრულფასოვნებისგან (არასრულფასოვნების კომპლექსისგან) თავდაცვას უკავშირდება.[3] ერთი შეხედვით, ამგვარი შეხედულებები არ უნდა ეთავსებოდეს იმ მეცნიერის ლოგიკას, რომელმაც მსოფლიო აზროვნებაში რევოლუცია მოახდინა და პირველ რიგში, მოძველებულ სტერეოტიპებს ებრძოდა. თუმცა, ზ. ფროიდის გამოკვეთილად პატრიარქალური თეორიის გათვალისწინებით, აღნიშნული შეხედულებები არაა გამონაკლისი და ლოგიკურად ეთავსება ავტორის ზოგად თეორიულ პოზიციას. სწორედ აღნიშნული გარემოების გამო, ფემინური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი პრობლემად დარჩა ფსიქოანალიზისთვის. ბოლო წლებში ფროიდი წერდა, რომ ქალური საწყისი მისთვის ამოუხსნელია და შეუცნობადიც კი; ფროიდის სიტყვებით, ქალი თავად საიდუმლოა.[4]

ჟაკ ლაკანი, ფსიქოანალიტიკოსი და ფროიდიანელი ფილოსოფოსი თავის ლექციაში „ქალურობა" (1931) მიუთითებს, რომ ფსიქოანალიზი დაინტერესებულია ბისექსუალური ბავშვიდან ქალად ფორმირების პროცესით და არა თავად ქალის ბუნებითა თუ ქალის გენდერული როლით. ცნობილია ჟაკ ლაკანის შოკის მომგვრელი ფრაზა: „ქალი არ არსებობს!" ერთი შეხედვით, ამ ფრაზას დედაზე გაჯიუტებულ და ნაწყენი ბავშვის რეაქციას თუ დაუკავშირებ, მაგრამ თავად ლაკანის მიმდევრებს ფრაზა განსხვავებულად ესმით; ქალი ინდივიდუალურ დონეზე არსებობს და მისი უნივერსალურ დონეზე განზოგადება და ქალის, როგორც კატეგორიის განსაზღვრა შეუძლებელია.[5] ქალის ფენომენისადმი ლაკანისეული, ერთი შეხედვით, ინფანტილური ანტი-დეფინიციის განხილვისას ჯ. ა. მილერი ფროიდის სექსუალობის ერთიანი ლოგიკიდან ამოდის, რაც ოიდიპოსის კომპლექსით აღიწერა.[6]

ოიდიპოს კომპლექსი ბიჭის სოციუმთან ადაპტაციის მექანიზმია, რომლის საფუძველზეც მამაკაცი სექსუალური ცხოვრების რეალიზების მზაობას იძენს. ამ საერთო მექანიზმის გამო, წერს ჯ. ა. მილერი, მამაკაცები საერთო სტერეოტიპულ მოდელს ექვემდებარებიან ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სტერეოტიპულები არიან, ერთმანეთს ჰგვანან, რასაც მათი უნიფორმებისადმი ან სტანდარტული სამოსისადმი (რისი ყველაზე მკაფიო მაგალითიცაა სამხედრო უნიფორმა) მიდრეკილებაც ასახავს.

ზიგმუნდ ფროიდმა ოიდიპოსის კომპლექსი, როგორც ადაპტაციის მექანიზმი მამაკაცის მოდელზე ააგო და შემდგომ, ქალისადმი მისი მორგებაც სურდა. თუმცა, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა თვით ე.წ. ელექტრას კომპლექსის, ოიდიპოსის კომპლექსის „ქალური" ვერსიის ჰიპოთეზური დაშვების მიუხედავად. გოგონების გენდერულ სოციალიზაციაზე მსჯელობისას ფსიქოანალიზის ავტორმა აბსურდი მიიღო; გოგონას, ისევე როგორც ბიჭის, სიყვარულის პირველადი ობიექტი დედაა. ბიჭების შემთხვევაში ყველაფერი ნათელია - მათ სურთ მამის ადგილის დაკავება და ძალისმიერი მეთოდებით მანიპულირება; ფსიქოანალიზის მიხედვით,ძლიერი მამის მოდელზე აგებულ მამაკაცს ძალაუფლებისა და თვითდამკვიდრებისკენ სწრაფვა გამოარჩევს. ხოლო გოგონებთან საქმე რთულადაა; დედისადმი ლტოლვის მიუხედავად, ისინი ქალის და არა მამაკაცის გენდერული როლის ინტერიორიზირებას ახდენენ. როგორც ჯ. ა. მილერი აღნიშნავს, ფროიდმა ვერ გასცა პასუხი კითხვას:- „რა სურთ ქალებს?" სხვა სიტყვებით, რა შეადგენს მათ ძირითად მამოტივირებელ ძალას? ქალის ლოგიკაში არაა საერთო ნიშნული, რაც ყველა ქალს გააერთიანებდა, არ არსებობს უნივერსალური ქალური ლოგიკა და შესაბამისად, არაა არც ოიდიპოსის კომპლექსის განცდა. სწორედ ამიტომაც ფსიქოანალიზის თვალსაწიერიდან, ქალი გამოცანაა როგორც მამაკაცისთვის, ასევე საკუთარი თავისთვისაც.

გასათვალისწინებელია, რომ ფსიქოანალიზური თეორია ფემინისტური ეპოქის გარიჟრაჟზე იქმნებოდა, როდესაც ქალები ახალ სოციალურ, აქამდე მათთვის სრულიად მიუღებელ, როლებს ითავისებდნენ

3 Адлер,Практика и теория индивидуальной психологии, 1995.
4 Лакан,Семинары, 2011.
5 Мордас, Заметки о женственности, 2011.
6 Миллер, От мужчины к женщине, 2009.

და არყევდნენ პატრიარქალურ დოგმებზე აგებულ შეხედულებებსა თუ პრეჯუდისებს. ფროიდისა და მისი მიმდევრების შეხედულებები ფსიქოანალიზზე 60-იანი და 70-იანი წლების ფემინისტების მხრიდან თავდასხმების მიზეზად იქცა.

კარენ ჰორნის, ნეოფროიდიანელ მკვლევარს, „პიროვნების სოციოკულტურული თეორიის“ ავტორს, „ფემინისტური ფსიქოლოგიის“ ფუძემდებლად მოიხსენიებენ.[7] ძირითადი საკითხი, რომლითაც ჰორნი შევიდა დისკუსიაში ფროიდთან, ქალისა და მამაკაცის ფსიქოლოგიურ სხვაობებზე ფიზიკური ანატომიის გადამწყვეტ ზემოქმედებას უკავშირდება. „როდესაც ქალებთან მუშაობის დიდი ხნის პრაქტიკის შემდეგ ფსიქოანალიზს მამაკაცებთან მიმართავ, თავიდან უბრალოდ გაოცებს, რამდენად ძლიერია მამაკაცების შური ორსულობის, მშობიარობისა და დედობის, ასევე ქალის მკერდისა და ძუძუთი კვების მიმართ“ - წერდა მკვლევარი.[8] საგულისხმოა, რომ კ.ჰორნის მამა გემის კაპიტანი იყო, უაღრესად მასკულინური, სუპერ-გმირების პროფესიის, ავტორიტარული მამაკაცი. კ. ჰორნიმ სამი ქალიშვილი გააჩინა და სწორედ ამ პერიოდში დაინტერესდა ფსიქოანალიზით. ის არ იზიარებდა ფროიდის იდეას „პენისისადმი შურის“ თაობაზე და წამოაყენა საპირისპირო შეხედულება, რომ პირიქით, მამაკაცებს ახასიათებთ შური ქალის ანატომია-ფიზიოლოგიისადმი; საშვილოსნოს, ორსულობისა და დედობის მიმართ. და თუკი ქალს ახასიათებს საპირისპირო სქესისადმი შური, მკვლევრის აზრით, ის უკავშირდება არა ანატომია-ფიზიოლოგიის სფეროს, არამედ მამაკაცის იმ სოციალურ როლებს, რომლებიც გულისხმობს აქტივობას ძალაუფლების, სირთულეთა გადალახვის, მიზნების მიღწევისა და კრეატიულობის (!) მიმართულებით. ამავე დროს, ჰორნის აზრით, მამაკაცი აქტიურ სოციალურ როლებს სწორედ მშობიარობის ან დედობის უუნარობის კომპენსირებისთვის მიმართავს. ლექციაში „მოქმედებისადმი ქალის შიში“ (1935) კ. ჰორნიმ ხაზი გაუსვა, რომ ფსიქოანალიზური თერაპიის მიზანი უნდა იყოს ყოველი ადამიანის (ქალისა და მამაკაცის) პიროვნების სრული და ყოველმხრივი განვითარებისა და თვითრეალიზებისათვის ხელშეწყობა. თანამედროვე ეტაპზე კ. ჰორნის შეხედულებები მოძველებულად მიიჩნევა. ფსიქოანალიზური ფემინიზმის შემდგომ განვითარებაზე ზეგავლენა მოახდინა გენდერის ცნების დამკვიდრებამ და გენდერულმა კვლევებმა, რომლებიც სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიას ეფუძნება. ეს უკანასკნელი სქესობრივ ბიოლოგიას ბედისწერად არ მიიჩნევს, ამოდის რა გენდერული თანასწორობის იდეიდან. თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარეობს ქალისა და მამაკაცის როლების პოლარიზაციის შესუსტება, იცვლება გენდერული ქცევის სოციოკულტურული სტერეოტიპები. მიუხედავად ამისა და შეიძლება სწორედ ამის გამოც,ფილოსოფია და ფსიქოლოგია აქტიურად აფიქსირებენ პრობლემას, თუ ადამიანის ცნობიერება და ქცევა რამდენად და რა სახით ატარებს სქესის ანაბეჭდს.

აღნიშნული კვლევების მეთოდოლოგიური მიდგომის მიხედვით, სქესობრივი დიფერენციაცია ყოველი ცოცხლის ფუნდამენტური თვისებაა. თანამედროვე ფსიქოლოგია მიუთითებს 3 ძირითად ფაქტორზე, რომლებსაც გადამწყვეტ მნიშვნელობას მიაწერს ადამიანის სოციალურ აქტივობასა და მე-კონცეფციაზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

ეს სამი ფაქტორია: გენეტიკა, კულტურა და გენდერი! როგორც ვხედავთ, თანამედროვე ეტაპზე, ერთი მხრივ, ხაზი გაესმის ქალისა და მამაკაცის ყოველმხრივ (და არა მხოლოდ უფლებრივ) თანასწორობას და ამავე დროს, აღიარებულია გენდერის ფაქტორის არსებითი მნიშვნელობა ინდივიდის აქტივობასა თუ თვითცნობიერებასთან მიმართებაში. (9) გენდერული თანასწორობისა და ამავე დროს, გენდერის ფაქტორის მნიშვნელობის აღიარებით, ახლებურად გაიჟღერა კრეატორი-ქალის და ზოგადად, ქალისა და მხატვრული შემოქმედების საკითხმაც. არტ-ფემინიზმი 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში წარმოიშვა, რომლის მიზნადაც ხელოვნებაში სწორედ შემოქმედი ქალების მიერ ქალის გენდერული განცდების ან „ქალის ხედვის“ ასახვა იქცა. მოგვიანებით ხელოვნებაში დამკვიდრდა, დიდი წარმატების მქონე, მებრძოლი - ქალის, ერთგვარი თანამედროვე ამორძალის სახე, ძლიერებას სენტიმენტებით რომ აბალანსებს. თანამედროვე ეტაპზე,

7 Хорни,Женская психология, 1993.

8 Хьелл, Зиглер, Теории личности, 1997.

დასავლურმა ემანსიპაციამ შეასუსტა ან საერთოდაც მოხსნა „ქალური თემების“ ასახვის მნიშვნელობა და ქალი შემოქმედი ზოგად-ადამიანური თემების მიმართულებით მოაბრუნა. თუმცა, რა თქმა უნდა, იქ, სადაც გენდერული პრეჯუდისები წარსულსაა ჩაბარებული.[9]

ქალისა და შემოქმედების მიმართების თანამედროვე გაგებას, ჩემი აზრით, მკაფიოდ წარმოაჩენს კონკრეტული არქეოლოგიური არტეფაქტების და კერძოდ, ადამიანის პირველყოფილ სადგომებში აღმოჩენილი ხელის ანაბეჭდების ინტერპრეტაციაც; უძველესი კლდის ფერწერის ნიმუშების დიდი ნაწილი ქალების მიერაა შექმნილი - ასეთი დასკვნა გამოიტანეს მეცნიერებმა.[10] დასკვნა ეფუძნება პენსილვანიის უნივერსიტეტში ჩატარებულ კვლევებს, რომელთა მიხედვითაც საფრანგეთისა და ესპანეთის ტერიტორიაზე არსებული, 8 გამოქვაბულის კედლებზე, პირველყოფილ ნახატებთან აღბეჭდილი, ადამიანების ხელის ანაბეჭდების სამი მეოთხედი ქალებს ეკუთვნით. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ პირველყოფილი მხატვრების 75%-ს ქალები შეადგენდნენ.[11] არქეოლოგიური მასალის ამგვარი ინტერპრეტაცია, რა თქმა უნდა, არა ერთ დამატებით კითხვას სვამს, მაგრამ, ჩვენი განხილვის საკითხიდან გამომდინარე, ის უდავოდ, ერთ გარემოებაზე აშკარად მეტყველებს; თანამედროვე მეცნიერება და ზოგადად, თანამედროვე საზოგადოება არა მხოლოდ აღიარებს ქალის შემოქმედებითობას, არამედ ქალური კრეატიულობის საწყისებს ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში ხედავს. და ბოლოს, თუკი თანამედროვე თვალსაწიერიდან მივუბრუნდებით ქალისა და მამაკაცის არქეტიპულ სახეებს, პენელოპესა და ოდისევსს, მოგვიწევს პენელოპესადმი, არშემდგარი შემოქმედისადმი, ამგვარი მიმართვა: „პენელოპე, ნუ არღვევ, მოქსოვე!”

გამოყენებული ლიტერატურა:

- არისტოტელე, პოეტიკა, თბ., 2019.
- ტონია ნ., კიკნაძე ზ., მითოლოგიური ენციკლოპედია, თბ., 2019.
- Адлер А. практика и теория индивидуальной психологии, М., 1995.
- Лакан Ж. Семинары.Книга 20, Гнозис, 2011.
- Майерс Д. Социальная психология, М., 2009.
- Миллер Ж. Лекция «От мужчины к женщине: что такое наслаждение? https://psychoanalysis.by/2019/04/11/%D0%B2%D0%B8%D0%B4%D0%B5%D0%BE%D0%BB%D0%B5%D0%BA%D1%86%D0%B8%D1%8F-%D0%B6%D0%B0%D0%BA-%D0%B0%D0%BB%D0%B5%D0%BD-%D0%BC%D0%B8%D0%BB%D0%BB%D0%B5%D1%80-%D0%BE%D1%82-%D0%BC%D1%83%D0%B6%D1%87%D0%B8%D0%BD/ (20/03/2022)
- Мордас Е. Заметки о Женственности //Психология и психотехника. 2011. №12 (27),стр.47-55
- Учёные изиенили мнение об авторах древних рисунков, Gazeta.ua 2020; https://gazeta.ua/ru/articles/history/_uchenye-izmenili-mnenie-ob-avtorah-drevnih-naskalnyh-risunkov/984862 (20/03/2022)
- Хорни К. Женская психология, СП., 1993.
- Хьелл Л., Зиглер Д. Теории личности, С-П., 1997.
- Юровская Д. Наскальные рисунки рисовали женщины- Археологический переворот. Media port.ua, 2013, https://www.mediaport.ua/arheologicheskiy-perevorot-naskalnye-risunki-risovali-zhenshchiny (20/03/2022)

9 Майерс, Социальная психология, 2009.

10 Юровская, Наскальные рискнки рисовали женщины, media port.ua, 2013.

11 Учёные изменили мнение об авторах наскальных рисунков, Gazeta.ua, 2020.

MODERN PERSPECTIVE: WOMAN CREATOR (or "Penelope, do not undo the work, weave!")

Rusudan Mirtskhulava

Keywords: *Woman, Art, Artistic Creativity, Psychology*

According to the threefold relationship of a woman toward art, a woman is first and foremost the inspirer or muse of art. At the same time, a woman is the dominant model of art, and finally, the woman herself is the creator of art. If the first two types of women's relationships towards art do not cause controversy, the third one remains controversial—even today. The main reason for the controversy is the crystalline stereotype that the woman is "Penelope"—expectant, passive creature, a kind of universal recipient ("Receiver"), and the man is „Odysseus"—an active, effective, universal inductor ("Giver"), adventure seeker, creative subject. I would like to add here that by this common logic, only a man can be called an actor or a creator. The ideal man, Odysseus, was called the "planet" or wanderer by the Greeks because of his over-activity. Penelope's activity is only illusory. In anticipation of Odysseus, she weaves his father-in-law's shroud for 20 years. She un does and weaves again to mislead the army of suitors. In fact, the ideal woman Penelope does nothing but wait. She creates nothing, moreover, destroys her own creation. She is anti-creative and completely passive, unlike Odysseus, who fights with Troy (which the Achaeans eventually captured thanks to his intelligence and creativity) for 10 years and then shifts from island to island on the way home for 10 more years, as a great traveler and an exceptional lover.[1]

Supremacism (ideology of superiority) and androcentrism are not just components of unconscious mass ideology based on ancient mythological notions. Aristotle wrote in Politics that woman is inferior compared to man; Woman is matter, and man is mind.[2] In the twentieth century, one of the creators of the new ideology and the idea of human freedom, Sigmund Freud openly expressed his attitude towards women in his personal correspondence. "Women were created for housework"—we read in his letter, addressed to his student Carl Abraham. In Freud's texts, a woman is portrayed as an incomplete or castrated man, an eternal child, a male with a lost organ. "Penis envy" connects femininity with passivity, subordination, and masochism. But at the same time, Freud points out that a woman compensates for the absence of the penis and her "penis envy" through intellectual development and self-perfection. By this logic, a man does not need such compensation or development and advancement, because he is convinced of his superiority over a woman from the very beginning.

As Neo-Freudian Alfred Adler, author of the theory of inferiority and hyper compensation, points out, hyper compensation is related to defense against mental or physical inferiority (inferiority complex).At first glance, such views should not be in line with the logic of the scientist who revolutionized world thought and, first and foremost, fought outdated stereotypes. However, given Sigmund Freud's explicitly patriarchal theory, these views are no exception and they logically fit into the author's general theoretical position. It is because of these circumstances that the process of forming a feminine identity has remained a problem for psychoanalysis. In his later years, Freud wrote that the feminine origin is inexplicable and even unknowable to him; According to Freud, the woman herself is a mystery.[3]

Psychoanalyst and Freudian philosopher Jacques Lacan, in his lecture Femininity (1931), points out that psychoanalysis is interested in the process of forming a woman from a bisexual child and not in the nature of the woman herself or the gender role of the woman. Jacques Lacan is known for the shocking phrase: "There is no woman!" At first glance, you can connect this phrase with the reaction

1 ტონია,კიკნაძე, მითოლოგიური ენციკლოპედია, თბ., 2019.
2 არისტოტელე, პოეტიკა, თბ., 2019.
3 Адлер, Практика и теория индивидуальной психолоеии, М. 1995.

of a stubborn and upset child to the mother, but Lacan's followers understand the phrase differently; Woman exists on an individual level and it is impossible to generalize her on a universal level and to define a woman as a category. In discussing the Lacanian seemingly infantile anti-definition of the female phenomenon, G.A. Miller derives from the common logic of Freudian sexuality, as described by the Oedipus complex. The Oedipus complex is a mechanism of adaptation of a boy to society, based on which a man acquires the readiness to realize his sexual life. Because of this common mechanism, the author writes, men are subjected to a common stereotypical model, or more simply, they are stereotyped, resembling each other, which also reflects their propensity for uniforms or standard clothing (the clearest example of which is a military uniform).[4,5]

Sigmund Freud built the Oedipus complex as an adaptation mechanism on the male model and later wanted to adapt it to the female. However, it turned out to be impossible despite the hypothetical assumption of the so-called Electra complex, a feminine version of the Oedipus complex. When discussing the gender socialization of girls, the author of Psychoanalysis accepted the absurd; The primary object of love for a girl as well as a boy is the mother. In the case of boys, everything is clear – they want to take the place of the father and manipulate by forceful methods.[6]

According to psychoanalysis, a man built on the model of a strong father is distinguished by the pursuit of power and self-assertion. In the case of girls, it is difficult; despite the longing for the mother, they internalize the gender roles of women and not men. As G. Miller points out, Freud could not answer the question: What do women want? In other words, what is their main motivating force? There is no common denominator in female logic that would unite all women, there is no universal feminine logic and therefore there is no sense of the Oedipus complex either, the reason why from the point of view of psychoanalysis, a woman is a puzzle for both men and herself.

It should be noted, that psychoanalytic theory was created at the rise of the feminist era, when women took on new social roles, formerly completely unacceptable to them, and shook views or prejudices built on patriarchal dogmas. The views of Freud and his followers on psychoanalysis became the subject of attacks by feminists in the 1960s and 1970s.

Karen Horney, a Neo-Freudian scholar and author of the sociocultural theory of personality, is credited with being the founder of Feminist Psychology.[7] The main issue with which Karen Horney entered into a discussion with Freud was the crucial impact of physical anatomy on the psychological differences between men and women. "When you practice psychoanalysis with men after a lengthy practice of working with women, you are simply amazed at how strong the envy of men is in terms of pregnancy, childbirth, and motherhood, as well as breast and breastfeeding," the researcher wrote. It is noteworthy that Karen Horney's father was the ship captain, a highly masculine, authoritarian man in the superhero profession. Karen Horney had already had three daughters when she became interested in psychoanalysis. He did not share Freud's idea of "penis envy" and took the opposite view that, on the contrary, men are characterized by envy of a woman's anatomy-physiology; Towards the uterus, pregnancy, and motherhood. And if a woman is characterized by envy of the opposite sex, according to the researcher, it is related not to the field of anatomy-physiology, but to the social roles of men, which include activity in the direction of power, overcoming difficulties, achieving goals and creativity (!).At the same time, according to Horney, men resort to active social roles precisely to compensate for the inability to give birth or experience motherhood. In her lecture Women's Fear of Action (1935) Karen Horney emphasized that the goal of psychoanalytic therapy should be to promote the full and comprehensive development and self-realization of each person (woman and man).[8]

At present, Karen Horney's views are considered outdated. The further development of psychoanalytic feminism was influenced by the establishment of the concept of gender and gender studies based on the theory of social constructivism. The latter does not consider sex biology to be destiny, which stems from the idea of gender equality. In modern society, the polarization of the roles

4 Лакан, Семинары, 2011.
5 Миллер, От мужчины к жннщине, стр. 2.
6 Мордас, От мужчины к женщине, 2011, №2, стр. 47-55.
7 Хорни, Женская Психология, С-П, 1993.
8 Хьелл,Зиглер,Теории личности,С-П., 1997.

of women and men is weakening, sociocultural stereotypes of gender behavior are changing. Nevertheless, and perhaps because of this, philosophy and psychology are actively fixing the problem of how much and in which way human consciousness and behavior bear the imprint of sex. According to the methodological approach of these studies, sexual differentiation is a fundamental feature of every living thing. Modern psychology points to 3 main factors that are essential in terms of influencing human social activity and self-concept. These are three factors: Genetics, Culture, and Gender! As we see, at present, on the one hand, the genuine (and not just legal) equality of women and men is underscored, and at the same time, the essential importance of the gender factor concerning an individual's activity or self-awareness is recognized.[9]

By recognizing the importance of gender equality and, at the same time, the gender factor, the issue of the creator woman and, more generally, women and artistic creativity was raised in a new way. Art-feminism originated in the late 1960s and early 1970s, intending to create a reflection of a woman's gender feelings or "female vision" by creative women. It was later established in art the image of a woman with great success, a fighter-woman, a kind of modern Amazon who balances strength with sentiments. At the present stage, Western emancipation has weakened or removed the meaning of the reflection of "feminine topics" altogether and turned the female creator in the direction of the general human themes. However, of course, it happened where gender prejudices are a thing of the past.

The modern understanding of the relationship between woman and creativity is, in my view, clearly represented by the interpretation of specific archaeological artifacts and, in particular, of human handprints found in primitive human settlements. Most of the ancient rock paintings are made by women – such a conclusion was made by scientists. The findings are based on research from the University of Pennsylvania, which found that three-quarters of human handprints on the walls of eight caves in France and Spain, next to the original paintings, belong to women. Scientists have concluded that 75% of primitive artists were women.[10] Such an interpretation of archaeological material certainly raises plenty of additional questions, but, from the point of view of our discussion, it undoubtedly speaks clearly of one circumstance; Modern science, and modern society in general, not only recognizes the creativity of women but also sees the beginnings of female creativity as far back as prehistoric times. [11] Finally, if we turn from the modern point of view to the archetypal faces of man and woman, Penelope and Odysseus, we will have to address Penelope, the unaccomplished creator: "Penelope, do not undo your work, weave!"

REFERENCES:

- არისტოტელე, პოეტიკა, თბ., 2019.
- ტონია ნ. კიკნაძე ზ., მითოლოგიური ენციკლოპედია, თბ., 2019.
- Адлер А., Практика и теория индивидуальной психологии, М., 1995.
- Лакан Ж., Семинары,Книга 20, Гнозис, 2011, padabum.com
- Майерс Д., Социальная психология, М., 2009.
- Миллер Ж., Лекция От мужчины к женщине: что такое наслаждение? 2009, http://www.univertv.ru/video/psihologiya/?page=2
- Мордас Е.,Заметки о Женственности //Психология и психотехника, 2011. №12 (27), стр. 47-55.
- Хорни К., Женская психология, СП., 1993.
- Хьелл Л., Зиглер Д., Теории личности, С-П., 1997.
- Юровская Д., Наскальные рисунки рисовали женщины- Археологический переворот, 2013, media port.ua
- Учёные изиенили мнение об авторах древних наскальных рисунков, Gazeta.ua, 2020.

9 Майерс, Социальная психология, М., 2009.

10 Юровская,Наскальные рисунки рисовали женщины, 2013.

11 Учёные изменили мнение об авторах наскальных рисунков, 2020.